ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 193

19 მაისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ. 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ. 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.557.637 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ. 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე